

1. მოდულური პროფესიული პროგრამა: „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი“
2. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3. პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით: 138 კრედიტი
4. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: 24 სასწავლო თვე
5. სწავლების ენა: ქართული
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
7. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა იცოდეს სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სამზავრო და სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; შეკვეთის გაფორმება; გადაზიდვების მონიტორინგი და შეძლოს დასაქმება სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, ან თვითდასაქმდეს.
8. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:
 - სამგზავრო გადაზიდვების დაგეგმვა;
 - სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა;
 - შეკვეთის გაფორმება;
 - გადაზიდვების მონიტორინგი;
 - სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება;
 - ლოგისტიკური დანახარჯების გამოთვლა გადაზიდვა/გადაყვანის დროს.
9. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება
 1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
 2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
 3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
 4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
 5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

10. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტვირთების და მგზავრთა ნაკადების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ასოციაციებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, სავაჭრო-შემსყიდველ და საშუამავლო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, საშუამავლო ფირმებში. შესაძლებელია თვითდასაქმება.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნათია ბუთხუზი

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: n.butkhuzi@gtu.ge
მობ. ტელ.: 593 261 112